

**მვირფასო მეგობრებო, თეატრის ერთგულო მაყურებლებო, გულშემატკივრებო,**

გილოცავთ შობა- კალანდას! გისურვებთ სიკეთეს, სიყვარულს, ბედნიერებას, ბარაქას და წარმატებას. დარწმუნებული ვარ, 2019 წელი იქნება გაცილებით წარმატებული, პოზიტიური და სიკეთის მომტანი. 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა ვისურვებდი მალე შევხვედროდით ახალ წელს ახალ, ტრადიციებით სავსე თეატრში, რომელსაც არა მხოლოდ ჩვენი თეატრი და გურია ელოდება, არამედ მთელი საქართველო, ყველა, ვისაც თეატრი უყვარს ან ამ სფეროში მოღვაწეობს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გელოდებით 2019-ში.

**ვასო ჩიგოგიძე,**
ოზურგეთის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი

# პირობიანი აუქციონი – საკრებულოში დასამკვიდრებელი აუცილებელი წესი თუ რევანში აღების საშუალება?



▶▶▶ გვ-3

**„ვულოცავ ოზურგეთელებს, რომ „კოკაბიტაცია“ აქ წარმატებით გრძელდება“**

# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 2 (10296) 14 იანვარი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.




**მრავალ შობასა და კალანდას!**



**სამშენებლო მაღაზია „ლიზი-2“ გილოცავთ შობასა და კალანდას!**

ყველანაირად განახლებული „ლიზი-2“ შობა-კალანდის სადღესასწაულო დღეებში მართავს მასშტაბურ სავაჭრო აქციებს და მომხმარებლებს იწვევს თანამედროვე ტექნოლოგიების შემსრულებელი აპარატურების ხელსაყრელ ფასებში შესაძენად.

**ლიზი-2 — შენებისა და მშვენების ვიზიტორი!!!**

მისამართი: თაყაიშვილის 10.

## გილოცავთ შობასა და კალანდას! გისურვებთ ყველა იმედის გამართლებას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას!!!



**ბაჩვა დოლიძე**
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე



**გია ჩაგანავა**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



**გენო ჩავლეიშვილი**
ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე



**გიორგი თოიძე**
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, სოფ. ლიხაური

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;
– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე

«ალიონით»


# მანდარინის ანარჩენების სამარხი მუნიციპალიტეტის ზღვისპირეთში

## ანარჩენების შემომტანებს ფულს იქეთ უხდიან



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზღვისპირეთში, მდინარე ნატანებსა და ჩოლოქს შორის ურეკი-ქობულეთის ტრასის მარცხენა მხარეს, ზღვიდან 2 კილომეტრის დაშორებით მანდარინის ანარჩენების სამარხია მოწყობილი. როგორც ამბობენ, აქ უკვე ასობით ტონა ანარჩენია დაყრილი, რომელიც მეზობელი რეგიონიდან, ქ. ქობულეთში მდებარე ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოდან ღამით შეაქვთ.

როგორც წყარომ გვითხრა, იმის გამო, რომ ანარჩენების ოდენობა ძალიან ბევრია, ურეკი-ქობულეთის მარცხენა მხარეს, ყოფილი სატბორე მეურნეობის მიმდებარედ დიდი ტრანშეები არის გათხრილი, ერთ-ერთი ფერმერის კერძო ტერიტორიაზე არიან შეჭ-რილნი და მის მფლობელთან დავა აქვთ მიყენებული ზიანის გამო. ტრანშეები უკვე ამოივსო და ახლა ანარჩენებს მიწის ზედაპირზე ყრიან.

გაზეთი „ალიონი“ ყოფილი სატბორე მეურნეობის ერთ-ერთ მეპატრონეს ა. ვ-ძეს დაუკავშირდა.

– ყოფილი სატბორე მეურნეობის ტერიტორიაზე არ იყრება დ ციტრუსის ანარჩენები, მაგრამ ეს მიმდებარე ტერიტორიაზე ხდება,–გვითხრა მან.

მეცნიერები ძალიან დიდ შეფასებას აძლევენ მანდარინის სალ ნაყოფში არსებულ ეთერზეთებს. ნაყოფში არსებულ ნავთობს გააჩნია ძლიერი ანტიოქსიდანტური და ანტიტოქსიკური ეფექტი, მაგრამ უკუეფექტები აქვს ერთ ადგილზე თავმოყრილ დიდი ოდენობით დამპალ ნაყოფს.

როგორც ერთ-ერთმა მოქალაქემ გვითხრა, მეზობელმა რეგიონმა არაოფიციალური ნაგავსაყრელი გახსნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. რატომ ყრიან ამ რაოდენობის ეთილის შემცველ ათასობით ტონაზე მეტ მასას ატრაქციონების პარკ „ციცინათელასა“ და „ბლექსი არენადან“ არც ისე შორს, ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არ ჩანს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის რწმუნებული ნატანების მუნიციპალიტეტში **ნაირა ცენტერაძე** არ ფლობდა დაზუსტებულ ინფორმაციას ანარჩენების სამარხის შესახებ. ჩვენი დარეკვის შემდეგ ცენტერაძის მოადგილე **ამირან ბაქანიძემ** ადგილზე მოინახულა ნაგავსაყრელი და შპს „**Georgian Industrial Asset Management Group**“ ხელმძღვანელ რ. გ-საც ესაუბრა. ბაქანიძის თქმით, აღნიშნულ ორგანიზაციას ხელშეკრულება აქვს კერძო მიწის მფლობელთან, რომლის ტერიტორიაზეც იყრება ციტრუსების ანარჩენები.

–„ “ ხელშეკრულება აქვს დადებული ფიზიკურ პირ ე. ბ.-სთან (ცხოვრობს ქ. ოზურგეთში), რომელიც პირიქით უხდის ფულს ნარჩენების მომწოდებელს(?!) –გვითხრა ამირან ბაქანიძემ.

ხელშეკრულების ასლი რედაქციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მიაწოდა.

აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, ზემოთ დასახელებული ფირმა ოზურგეთის ტერიტორიაზე 10 000 ტონა მანდარინის ნარჩენს შემოზიდავს,რაშიც ფიზიკური პირი ე.ბ. თითოეულ ტონაზე 2 ლარს გადაუხდის(?!)

გაზეთი „ალიონის“ რედაქცია გარემოს დაცვის ზედამხედველობის გურიის განყოფილების უფროსს ალექსი გოგილაძეს დაუკავშირდა:

–ციტრუსის ნარჩენები კერძო ტერიტორიაზე იყრება და არ აზიანებს გარემოს. ჩვენ ამის შესახებ შევატყობინეთ როგორც გარემოს დაცვის სააგენტოს, ასევე ამ სააგენტოს აჭარის სამმართველოს, სადაც შედის გურიის განყოფილებაც. ჩვენი წერილის საფუძველზე, ადგილზე ჩამოვა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შეამოწმებს მიადგა თუ არა გარემოს რაიმე სახის ზიანი- გვითხრა ალექსი გოგილაძემ.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე



**ალიონი.** გასულ ოთხშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელმაც 11 საკითხი განიხილა.

პირველ საკითხად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ ბიუჯეტში პირველი შესწორებები შეიტანეს.

სოციალური პროგრამის 2019 წლის ბიუჯეტი 1 585 500 ლარს შეადგენს. აქედან მრავალშვილიანი დედების დახმარების პროგრამით 145 000 ლარი გაიცემა; არასამეწარმეო იურიდიული პირი დღის „მომავლის სხივი“–45 ლარი; დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერ-ჯე-რადი დახმარება –9 000 ლარი; მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება –300 000 ლარი; აქედან „**C**“ ჰეპატიტის პროგრამა –75 ათასი ლარი; თირკმლით უკ-მარისობით დაავადებულ პირთა დახმარება –25 ათასი ლარი; ლეიკემიითა და ონკ-ოლოგიური დახმარების მქონე პირთა დახმარება –140 000 ლარი; შეზღუდულ შესა-ძლებლობის მქონე პირთა დახმარება –213 900 ლარი.

2019 წლის ბიუჯეტით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება 13 000 ლარით განისაზღვრა: სარიტუალო მომსახურება 18 000 ლარით; ტრადიციულ დღესასწაულების დაფინანსება 50 000 ლარით განისაზღვრა; სტიქიური მოვლენების შე-დეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება –290 000 ლარით;

სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი 30 000 ლარით განისაზღვრა; გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროგრამების ხელშეწყობა – 20 000 ლარით; მზრუნველ-ობამოკლებულთა უფასო კვების პროგრამა –118 500 ლარი; ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური უზრუნველყოფის პროგრამა –13 100 ლარით; ძვირად-ღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება –30 000 ლარი; სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება –50 000 ლარი.

მომდევნო საკითხი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ განიხილეს. 2019 წლის ბიუჯეტით ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების დახმარება 200 ლარამდე სრულად ფინანსდება. აქ ზედა ზღვარი 500 ლარია;

მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამაში მედიკამენტებით უზრუნველყოფასა და საგარანტიო წერილებით დაფინანსებას დაემატა ეპილეფსიით დაავადებულ პირთა დახმარება;

გაიზარდა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარება;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ რამდენიმე საკითხი განიხილეს.

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში მოძრავი ქონებიდან 6 მსუბუქი ავტომობილი და 2 მიკროავტობუსია შეტანილი. ყველა ავტომობილი ამორტიზებულია, რომელთაგან 5 შავი ლითონის ფასადაა შეფასებული.

უძრავი ქონებიდან გასაყიდად სოფელ ნატანებში, ბახვში, ლაითურში, ბაილეთსა და მაკვანეთში 7 ნაკვეთი იყო წარმოდგენილი, რომელთაგან ერთს, კერძოდ სოფ. მაკვანეთში, ე.წ. „ბაზიერების გორაზე“ მდებარე 200 კვადრატული მიწის ნაკვეთი ამოიღეს გასაყიდი ქონების სიიდან. ამ თემაზე სათანადო განმარტება სოფელ მაკვანეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბექა თოიძემ გააკეთა.

– „ბაზიერების გორით“ დაინტერესებული ოზურგეთის ბაზიერთა კლუბის თავმჯდომარე ე. კ-ძე. იყო„„ბაზიერების გორა“ სოფელ მაკვანეთის ერთ-ერთი ღირშესანიშნაობაა, რომელიც მომავალში ტურისტულ მარშრუტებში შევა. მე დეპუტატი ვარ და ვკითხე მოსახლეობას აზრი, გასხვისებასთან დაკავშირებით, რაზედაც უარყოფითი პასუხი მივიღე. ისინი ამბობენ, რომ ეს ტერიტორია შემოღობილია,დგას ნაგებობა, მოწყობილია ცნობილი ბაზიერების მცირე მემორიალი. ნადირობის სეზონის გახსნის წინ აქ იკრიბება მონადირეები, სოფლის მოსახლეობა და სანადირო სეზონის გახსნას აღნიშნავენ. ჩვენ ე. კ-ძეს მიმდებარე ტერიტორიები შევთავაზეთ, მაგრამ უარი გვითხრა. მე ვალდებული ვიყავი საკრებულოს სხდომაზე ჩემი სოფლის მოსახლეობის პოზიცია დამეცვა – გვითხრა ბექა თოიძემ.

საკრებულომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 42719 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი სოფ. ლიხაურში, იქ არსებული 3 შენობა-ნაგებობა (საერთო ფართი 130 კვ. მეტრი) და მათზე განთავსებული მატერიალური ფასეულობები უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, სარგებლობაში სსიპ საქართველოს საპატრიარქოს ( შემოქმედის ეპარქია) გადაეცა.

ამ ტერიტორიაზე ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტს ფერმერული მეურნეობა და სადემონსტრაციო ნაკვეთი ჰქონდა მოწყობილი, რომელსაც ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი“ პატრონობდა. აქ გაშენებულია ხილის ბაღი, ვაზის ადგილობრივი ჯიშების 700-ზე მეტი ნერგი, თუთის ნარგავები და ა.შ.

– საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყისში შემოტანილ პროექტში უძრავ-მოძრავი ქონების ჩამონათვალში ტრაქტორიც იყო შეტანილი. ახლა ამოღებულია. კარგი საქმეა ამ ტერიტორიის ეპარქიაზე გადაცემა, მაგრამ ტრაქტრიც გადაგ-ვეცა–მიმართა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით მჟავანაძემ.

ეს წინადადება გაურკვეველი პასუხით დასრულდა. არ თქმულა სად წაიყვანეს ტრაქტორი.

-არ იყო ტრაქტორი, მცირე მოტობლოკი იყო–უპასუხეს.

საკრებულომ მიიღო დადგენილება ქალაქ ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. № 3-ში მდებარე 65.90 კვ. მეტრი უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

– 2019 წლის ბოლოს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის კაპიტალური რემონტი დასრულდება. მანამდე ოზურგეთის ყოფილი „ქალაქის საბჭოს“ შენობაში გვაქვს აღებული 2 ოთახი. 2 წელია მის დროებით სარგებლობის უფლებით გადმოცემაზე ვმუშაობთ. როგორც იქნა ეკონომიკის სამინისტრომ დაგრთო ნება და როცა თეატრის გარემონტებულ შენობაში გადავალთ, ეს ფართი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განკარგულებაში იქნება–განაცხადა ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, დეპუტატმა ვასილ ჩიგოგიძემ.

საკრებულომ იმსჯელა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართ-ალდარღვევათა საქმის წარმოებისთვის დოკუმენტების ტიპური ფორმებისა და მათი აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;

განიხილეს ოზურგეთის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმა;

დაამტკიცეს საკრებულოს რეგლამენტი.

იმსჯელეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარებში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე და ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მდებარე მოედნებსა და ქუჩებში წვრილფეხა დამსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ და მეთვალყურეობის გარეშე ყოლისას გასატარებელი ღონისძიებების შესახებ; ასევე განიხილეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლის და კატის ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.

საკრებულომ ყველა განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილებაბი

# პირობიანი აუქციონი – საკრებულოში დასამკვიდრებელი აუცილებელი წესი თუ რევანში აღების საშუალება?

## „ვულოცავ ოზურგეთელებს, რომ „კოჰაბიტაცია“ აქ წარმატებით გრძელდება“



წინამდებარე წერილის ქვესათაურად გამოტანილი ეს სიტყვები ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატს **შოთა გოგიბერიძეს** ეკუთვნის, რომელიც მან მედიასაშუალებებთან კომენტარში მას შემდეგ წარმოთქვა, რაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში (გომში) მდებარე 6 000 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გაცემას (23 – მომხრე, 5 – წინააღმდეგი).

საკითხი განსახილველად აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **გოჩა კილაძემ** გამოიტანა.

მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი პროექტით ითხოვდა თანხმობას ხსენებული ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემაზე. საუბარია იმ ტერიტორიაზე, სადაც უკვე სამი წელია საქართველოს კაიაკინგის ფედერაცია საერთაშორისო ტურნირებს ატარებს სპორტის აღნიშნულ სახეობაში. ამ საკითხზე მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 28 სექტემბერს განცხადებით მიმართა ქალაქ ოზურგეთში, თავისუფლების ქუჩა №45-ში მცხოვრებმა იოსებ ერქომაიშვილმა, გურიის გუბერნატორის ყოფილმა მოადგილემ, რომლის ინიციატივითა და ორგანიზატორობით, ბჟუჟის ხეობაში ტარდება წყალჯომარდობის ტურნირები.

8 იანვარს საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიაში შედგა პრეზენტაცია ერქომაიშვილისა და მისი ჯგუფის პროექტისა „გააცოცხლე გურია – გურიის მდგრადი განვითარებისათვის“. პროექტის მიზანია შემოქმედში ვაშლნარის სივრცითი განვითარების იდეა. – „ეკოკემპინგი ვაშლნარი“.

როგორც პროექტშია აღნიშნული, „რეგიონის მდგრადი ტურიზმის განვითარებისა ხელშეწყობის მიზნით და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში, გარემოსდაცვითი და ბუნების კონსერვაციის, ეკონომიკური განვითარების, უსაფრთხოებისა და ხარისხის სტანდარტის შექმნით, ვაშლნარი გადაიქცევა ახალგაზრდულ ეკობანაკად, რომელიც საერთაშორისო დონეზე იქნება გურიის სავიზიტო ბარათი. ვაშნარის ინფრასტრუქტურა მოეწობა საერთაშორისო ეკოკემპინგის სტანდარტის დაცვით და გათვლილი იქნება შშმ პირებზეც. პროექტის მიზანია აღნიშნულმა სივრცემ მიიღოს საერთაშორისო „ეკოკემპინგის“ სერთიფიკატი.

ლოკაცია საინტერესო გახდება როგორც სპორტსმენებისათვის, ასევე საზაფხულო ეკობანაკის ორგანიზებისათვის და ივენთების, სემინარების, ფესტივალების მოსაწყობად. აღნიშნული ადგილი საინტერესო იქნება ადგილობრივი ახალგაზრდების თემატურ თავშეყრისათვისაც. ვაშლნარში შესაძლებელი იქნება გომის მთით დაინტერესებული ტურისტების მიღება და დასვენება“.

აღნიშნული მიწის ნაკვეთის პირობიანი აუქციონზე გატანის საკითხი მიუღებელი აღმოჩნდა დეპუტატ შოთა გოგიბერიძისთვის, რომელიც საკრებულოში ხელმძღვანელობს ფრაქციას „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისთვის“:

*„გომში ეს ადგილი იქცა კაიაკინგის და ველური ტურიზმის სავარაუდო ცენტრად, უნდა გამოიყენოს კაიაკინგის ფედერაციამ, გარდა ამისა, არის ადამიანების ჯგუფი, რომელმაც გუშინ წარმოადგინეს ბრწყინვალე პრეზენტაცია თავისი პროექტისა, რომელიც გულისხმობდა სოციალური და ეკოლოგიური პროექტის სახით ამ ტერიტორიის სარგებლობას, სადაც უნდა დაიგეგმოს სპორტულ განმაჯანსაღებელი, ახალგაზრდული ,საბავშო ცენტრის გაკეთება შეძლებისდაგვარად, რა თქმა უნდა, ველური ტურიზმისათვის ხელის შეუშლელად, ბუნებრივი ლანდშაფტის გამოყენებით,. ეს არ არის ბიზნესი. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, ჩემი აზრით, უმჯობესი იყო, პირდაპირი განკარგვის წესით გვეხელმძღვანელა. თქვენთვის ცნობილია, რომ პროექტის წარმომდგენ ჯგუფს, სააუქციონო თანხა არ გააჩნია. აუქციონზე გატანის შემთხვევაში კი შეიძლება სხვამ ისარგებლოს და პროექტით გათვალისწინებული ეს უდავოდ დიდი საქმე, რომლითაც კაიაკინგის მიმდევრებთან ერთად, ბევრი სხვა დარგის წარმომადგენლებიც არიან დაინტერესებული, ველარ განხორციელდეს“.*

**გოჩა კილაძის** თქმით, ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესზე ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო თანახმა.

კილაძის ამ განცხადების შემდეგ დეპუტატთა შორის შედგა კამათი:

**თამაზ ბურჭულაძე,** შემოქმედის მაჟორიტარი დეპუტატი: *მოსახლეობისთვის, ბატონო შოთა, არ არის საკმარისი ეს ინფორმაცია. მე დღეს ამ დილითაც მქონდა საუბარი, მოსახლეობა მოვიდა ჩემთან და მომმართა, ითხოვს ეს ხალხი პრეზენტაციას, რათა გაერკვეს სიტუაციაში, რა როგორ არის. მე ვერ მივიღე ეს ინფორმაცია.*

**ნანული ორაგველიძე:** კომისიაზე მოგვეწვია ისე მოსახლეობა.

**შოთა გოგიბერიძე:** *რა მოსახლეობა? ბოლო მოსახლე თვითონ არის.*

**თამაზ ბურჭულაძე:** *ჰოდა ზუსტად მაგას ვამბობ, ვკითხოთ მოსახლეობას. მე ვისაუბრებ მარტოდ ჩემი სახელით.*

**ნანული ორაგველიძე:** *კომისიაზე როდის დადგა აუქციონის საკითხი?*

**გოჩა კილაძე:** *გუშინ.*

**ნანული ორაგველიძე:** *გუშინ კომისიაზე ხომ იდგა საკითხი, რომ შეთანხმდნენ ადამიანები. აუქციონზე არ თქმულა არაფერი, არ ყოფილა ასეთი, საიდან მოგაქვთ?*

ნანული ორაგველიძეს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები დაეთანხმნენ.

**თამაზ ბურჭულაძე:** *ნამდვილად მინდა ჩემს სოფელში კარგი გაკეთდეს, ყველანაირად დავეხმარები, მოსახლეობაში შევალ, პრეზენტაცია იქნება თუ როგორი სახითაც იქნება, ეს ყველაფერი სწორად გაიგონ.*

**ლევან მგელაძე,** ფრაქცია „ოზურგეთის მომავლის“ თავმჯდომარე: *ბატონო თავმჯდომარე, გუშინ კომისიის სხდომაზე მართლაც იყო მსჯელობა ამ საკითხზე, შესანიშნავი პრეზენტაცია წარმოგვიდგინა მოქალაქემ, რომელსაც სურვილი აქვს აქ გააძლიეროს ტურიზმი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თითქოს მოსახლეობას არ ჰქონდა რაღაც შეთანხმება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენც ვიმსჯელეთ, ჩვენმა ფრაქციამ და ჩვენი გადაწყვეტილება ასეთია: საერთოდ ამოღებული იქნას, არ გაიყიდოს ეს მიწის ნაკვეთი.*

**გოჩა კილაძე:** არ *იყიდება ლევან, არა.*

**ლევან მგელაძე:** *არც აუქციონის წესით გასხვისდეს, ბოდიშს გიხდით, გაყიდვაზე არა, სარგებლობის უფლებაზე იყო საუბარი. საერთოდ ამოღებულ იქნეს ეს საკითხი. მუნიციპალიტეტმა თავისი სახსრებით შეღობოს ეს ნაკვეთი და დაიცვას, როგორც რეკრეაციული ზონა. თუ საჭირო იქნება, მივიღოთ გადაწყვეტილება რეკრეაციულ ზონად გამოცხადებაზე, რომ ხელშეუხებელი იყოს იქ ფლორაც და ფაუნაც.*

**გიორგი ღურჯუმელიძე:** *თუ განვითარება შეიძლება, რატომ არ შეიძლება რომ გაიცეს?*

**ლევან მგელაძე:** *შევხედოთ და ვიმოქმედოთ სიტუაციიდან გამომდინარე, მერე გამოვიტანოთ გადაწყვეტილება*

**ბესო ქათამაძე:** *სამი წელია უყურებთ და...*

**შოთა გოგიბერიძე:** *შეტანილი აქვს კაცს განცხადება, რას უნდა შეხედო და რატომ უნდა შეხედო? მთელი ქალაქი „ბუტკებად“ იქცა და მაშინ არ გითქვამთ არაფერი.*

**მაია ზოიძე:** *იმიტომ, რომ არ გაიყიდოს.*

**შოთა გოგიბერიძე:** *აქ სერიოზული სოციალური პროექტი ხორციელდება.*

**გიორგი ღურჯუმელიძე:** *განსხვავებულ აზრს პატივს ვცემთ. აქ ახლა რაც გაჟღერდა, უბრალოდ საზოგადოებას მინდა განვუმარტო, არანაირ გასხვისებაზე ლაპარაკი არ არის, საუბარია სარგებლობის საკითხი როგორ გადაწყდეს.*

**შოთა გოგიბერიძე:** *კაცი გეუბნება აუქციონზე რომ შემოვიდე, არ მაქვს მაგის ფულიო..*

**გოჩა კილაძე:** *ჰოდა, თუ ვინმე უკეთესი პროგრამით შემოვა...*

**შოთა გოგიბერიძე:** *ვინ შემოვა, ეს ჯგუფი მუშაობს ამაზე. ეს კაცი არ აკეთებს სასტუმროებს, ეკოლოგიური პროექტი აქვს და ვინმე ფულიანმა არ იყიდოს, რა ვერ გაგაგებინეთ?*

**დავით მჟავანაძე:** *თუ ჩვენ ამ მიწის ნაკვეთს იმიტომ გადავცემთ სარგებლობის უფლებით, რომ უნდა შევინარჩუნოთ, მაშინ სახელმწიფო უფრო იქნება გარანტიორი შენარჩუნებისა, ვიდრე კერძო მესაკუთრე, რომელიც არ ვიცით, რას მოიფიქრებს ხვალ და ზეგ.*

**გოჩა კილაძე:** *იჯარით ვაძლევთ.*

**დავით მჟავანაძე:** *მესმის.*

**შოთა გოგიბერიძე:** *სახელმწიფოს შენარჩუნებული რა ნახე ერთი?*

**დავით მჟავანაძე:** *სახელმწიფოს ნება თუ იქნება, შეინარჩუნებს, რაც შეეხება, იმას, ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ, „ნაციონალური მოძრაობა“, ჩვენი ფრაქცია ფიქრობს, რომ ძალიან კარგია თუნდაც ტურიზმის განვითარება, ვთქვათ ადგილობრივები ისარგებლებენ და ლამაზი ადგილი გახდება, მაგრამ ამისთვის შესაძლებელია, ხვალ ან ზეგ აუქციონის გზით ვიღაც გამოჩნდეს, რომელმაც უფრო მეტი ინვესტიცია განახორციელოს, უფრო განავითაროს. პირველი შემთხვევაა, რაც მე საკრებულოში ვარ, ჩემი და დათოს (იგულისხმება საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია) პოზიცია რომ ემთხვევა ერთმანეთს, მსგავსი რამ არ მომხდარა მანამდე. თუ არავის აინტერესებს ეს საკითხი და მხოლოდ ეს ჯგუფია დაინტერესებული, მაშინ გამოდის, რომ აუქციონზეც სხვა არავინ დაინტერესდება, ე. ი. პრობლემაც არ იქმნება იმ ჯგუფისთვის, რომელიც დაინტერესებულია. ვფიქრობ, რომ ასე ერთპიროვნულად, პირობიანი აუქციონი ეს არის აუცილებელი წესი, რაც უნდა დავამკვიდროთ ამ მუნიციპალიტეტში და ზოგადად ეს არის ის წესი, რომლითაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ.*

**ლავრენტი ბიგვავა,** სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: *ეს არის დაჩქარებული პროცესი, ეს არის ეფექტური ყველა სხვა გასხვისების თუ სხვადასხვა ფორმით გადაცემასთან მიმართებაში და ამაზე უამრავი არგუმენტი შეიძლება მოვიყვანოთ, მხარს ვუჭერ ამ დასკვნას, თუმცა, ასეთი გაორებული არასოდეს ვყოფილვარ ჩემს ცხოვრებაში, მხარს ვუჭერ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ეს არ არის მატერიალური წარმოების სფერო. იქ რაღაც გარკვეული პროდუქცია იქმნება მომსახურეობის თვალსაზრისით, მაგრამ – არაპირდაპირ, პირდაპირ არ არის მატერიალური წარმოების სფერო, ამიტომ რაღაც დოზით მხარი დავუჭირე იმ წინადადებას, რომ გასხვისდეს აუქციონის წესით. დანარჩენი რაც ბატონმა შოთამ მოიყვანა, აბსოლუტურად მისაღებია. სხვა ნებისმიერ პირობებში მე ასი პროცენტით დავუჭერდი მხარს. სხვა კოლეგებმაც იციან ჩემი მოსაზრება. ისიც არ არის არგუმენტი, რომ ეს სოფელს არ უნდა, ასეთ საკითხებზე ჩვენ თუ რაღაც რეაგირება არ მოვახდინეთ და მოსახლეობამდე სწორად არ დავიყვანეთ საკითხი, ინიციატივა თუ პროექტი, სოფლის გარკვეული ჯგუფი ყოველთვის იქნება წინააღმდეგი და ჩვენს განვითარებას დაესმება საბოლოოდ წერტილი. ეს არ ივარგებს ალბათ და ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით საკრებულოს მხრიდან მიუღებელია და ეს წესი აუცილებლად უნდა დამკვიდრდეს. მხედველობაში მაქვს ლიბერილიზაცია, რაც მალე მოხდება, რაც ჩქარა მოხდება, რაც მეწარმისთვის იქნება ხელსაყრელი, აი, იმ მიმართულებით უნდა წავიდეთ ჩვენც საბოლოოდ.*

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ **შოთა გოგიბერიძემ** მედიასთან თქვა, რატომ არ დაუჭირა მხარი პირობიან აუქციონზე ამ სივრცის გატანას:

*„ჩემი აზრით, სწორად ვერ გაიგეს უმრავლესობის წევრებმა, მათ მაინც ფინანსური აქცენტები გააკეთეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი ამას არ წარმოსახავს ბიზნესპროექტად და უბრალოდ უნდათ, რომ ეს ტერიტორია იყოს დაცული, გვაქვს სამწუხარო მაგალითები იმისა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა ვერც ლანდშაფტი, ვერც ტერიტორია, ვერც ეკოლოგიური გარემო ოზურგეთში, მდინარეების ხეობებშიც, ურეკშიც, შეკვეთილშიც, ბახმარო-შიც და გომშიც, სადაც მშენებლობები ველურად ახლაც მიმდინარეობს. ამიტომ ვამბობ, ამის დაცვის საუკეთესო საშუალება იქნებოდა ეს პროექტი, ამიტომ არ დავუჭირე მხარი აუქციონზე ამ სივრცის გატანას. კარგი იქნებოდა, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, გადაეცათ კაიაკინგის ორგანიზატორთა ჯგუფისათვის, როგორც ეს მერიამ წარმოადგინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამას გაუწიეს წინააღმდეგობა და არნახული პრინციპულობით დაეთანხმნენ ერთმანეთს „ნაციო-ნალურო მოძრაობა“ და „ქართული ოცნების“ უმრავლესობა, უმრავლესობის უმრავლესობა. ვულოცავ ოზურგეთელებს, რომ „კოჰაბიტაცია“ აქ წარმატებით გრძელდება.*

*რაც კომისიამ და საკრებულომ შეიმუშავა, ჩემთვის არ არის მისაღები, რადგან პირობიანი აუქციონი თანხებთან არის დაკავშირებული. ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა კი გუშინ, კომისიის სხდომაზე განაცხადეს, რომ არ აქვთ ფინანსური რესურსი რაღაც სააუქციონო ჭიდილში ჩასართავად, სოციალური და ეკოლოგიური პროექტის განხორციელების უნარი, ცოდნა და უცხოელი სპეციალისტები კი ნამდვილად გააჩნიათ. ეს იქნებოდა მონაპოვარი ჩვენი რეგიონისთვის და ტურიზმის განვითარების პერსპექტივების შექმნისთვის“.*

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით, ამ გადაწყვეტილებით საკრებულოს უმრავლესობამ რევანში აუღო იოსებ ერქომაიშვილს, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებში კონსტანტინე შარაშენიძეს უჭერდა მხარს.

სხდომაზე სხვა საკითხებიც განიხილეს.

**თემურ მარშანიშვილი**

გამოიწერეთ გაზეთი
„ალიონი“
ერთ წლით – 30 ლარი
6 თვით – 15 ლარი
3 თვით – 7.50 ლარი

# დავით მდინარაძე: გრიპის გამო, ოზურგეთში პანიკის საფუძველი არ არსებობს



ოზურგეთის მედალფას კლ-ინიკის სამედიცინო ცენტრის დირექტორის, **დავით მდინარაძის** ინფორმაციით, გრიპის ვირუსის გავრცელების გამო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში პანიკის საფუძველი არ არსებობს.

„გრიპიანობასთან დაკავშირებით, ოზურგეთში პანიკის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს. სტაციონარში ამჟამად 63 პაციენტია, აქედან 10 გრიპის დიაგნოზით, რომლებიც გადიან მკურნალობის შესაბამის კურსს. გვაქვს ყველა პირობა, რომ სიტუაცია ვაკონტროლოთ. არის საკმარისი რაოდენობის „ტამიფლუ“, ანტივირუსული მედიკამენტი, რომელიც გამოიყენება ე.წ. „ღორის გრიპის“ სამკურნალოდ“, - გვითხრა მან 11 იანვარს.

მდინარაძის თქმით, გავრცელებული ინფორმაცია, რომ ოზურგეთში 83 წლის ქალბატონის გარდაცვალების მიზეზი H1N1გახდა, ლაბორატ-ორიულად არ დადასტურდა.

„ამ კონკრეტულ შემთხვევაში იყო გრიპი, მაგრამ არა “ღორის“, - განაცხადა მდინარაძემ.

# გრიპის სეზონურ გავრცელებასთან დაკავშირებით გირჩევთ (რეკომენდაციები საზოგადოებას)

გრიპის სეზონური გავრცელების გამო საზოგადოების ინფორმირების მიზნით გაცნობებთ, რომ 2018-2019 წლების სეზონზე გრიპის ვირუსის აქტივობა საქართველოში გამოვლინდა 45-ე კალენდარული კვირიდან. გრიპისმაგვარი დაავადებების ფარდო-ბითი მატება დაიწყო 2018 წლის ბოლოდან, თუმცა გავრცელების მაჩვენებელი არ აღემატება ეპიდემიურ ზღურბლს. ამასთან, გრიპის გავრ-ცელების მატების ტენდენცია აღინიშნება მთელი ჩრდილო ნახევარსფეროსა და მ.შ. ევროპის რეგიონში.

გრიპის სეზონური გავრცელებით გამოწვეული საზოგადოებრივი ზეგავლენის შემცირების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

ყველა დაავადებულმა გამოიჩინოს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომებისას, ექიმთან მიმართვამდე, მოახდინოს თვითიზოლაცია;

განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ ორსულებმა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებმა;

ნებისმიერმა დაწესებულებამ მაქსიმალურად გააქტიუროს ხელების ჰიგიენის პროცედურები: სტანდრტულად ხელის დასუფთავება გამდინარე წყლითა და საპნით რეკომენდებულია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ტრანსპორტით სარგებლობის, ნებისმიერი ქმედების შემდეგ, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს თვალით უხილავ დაბინძურებას;

კონტაქტური გზით გრიპის ვირუსების შეკავების მიზნით მიზანშეწონილია სპირტისშემცველი ხელის დასამუშავებლებით აღიჭურვოს ისეთი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, სადაც მოსალოდნელია ინფიცირებულ/დაავადებულ პირთა კონცენტრაცია: აფთიაქები, პოლიკლინიკები, საავადმყოფოები, საბანკო მომსახურების ცენტრები, სატელეფონი კავშირგაბმულობისა და სხვა მომსახურების ოფისები. ხელის დასამუშავებლები უნდა განლაგდეს მოქალაქეთათვის ხელმისწვდომ და თვალსაჩინო ადგილას. გრიპის სიმპტომების გამოჩენისთანავე მიმართეთ ექიმს! იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება ისეთი სიმპტომები, როგორიცაა - სუნთქვის გართულება, ქოშინი, ცხვირ-ტუჩის მიდამოს ციანოზი, მოვარდისფრო სისხლიანი ნახველი, ლეთარგია, ჩვილ ბავშვებში - ძუძუს წოვის შეუძლებლობა, გაუწყლოვება, ყიფლიბანდის დაძაბულობა - სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს! შესაძლოა თქვენ გესაჭიროებოდეთ ჰოსპიტალიზაცია და სპეციფიკური მკურნალობა!

გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომების მქონე პაციენტებს სეზონურ გრიპზე ლაბორატორიული კვლევები დამატებითი დიგნოსტირებისთვის, გრიპის ვირუსის ტიპების ან ქვეტიპების იდენტიფიცირებისათვის და მკურნალობის ტაქტიკის განსასაზღვრად არ ესაჭიროებათ.

# მეცნიერებმა კიბოსთან ბრძოლის ახალ ხერხს მიაკვლიეს

ჰარვარდის სამედიცინო სკოლისა და ბარ-ილანის სახელობის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა აღმოაჩინეს იმუნური სისტემის აქტივაციასთან დაკავშირებული მექანიზმი. იგი დამცავ უჯრედებს საშუალებას აძლევს ეფექტურად აღიჭურვოს და გაანადგუროს კიბოს უჯრედები, იტყობინება საიტი **Medicalpress**-ი.

მეცნიერებმა დაწვრილებით შეისწავლეს პროცესი, რომელიც უშვებს უჯრედებში ვირუსისმაგვარი გენების მარკირებას. როცა სპეციალისტები მოცემული მექანიზმის გამოყენებას შეუდგნენ, იმუნურმა სისტემამ მაშინვე დაიწყო აქტიური ბრძოლა კიბოს უჯრედებთან, განსაკუთრებით ფილტვების კიბოსა და მელანომას დროს.

მკვლევარები დარწმუნებული არიან, რომ ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს ონკოლოგებს კიბოს მკურნალობის გასაღების პოვნაში

ადრე ონკოლოგებმა დაასახელეს კიბოს გამომწვევი პროდუქტები პირველ რიგში ეს შაქრისშემცველები, ხელოვნური საღებავები და არომატიზატორებია

# რა დაფინანსდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში?

პროგრამა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რეგფონდის) შემადგენელი ნაწილია

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების კატეგორია განსაზღვრულია:

სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები) წყაროების მოპირკეთება

სარწყავი სისტემები

სანიაღვრე არხები

ნაპირსამაგრი სამუშაოები

გზები

ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები

გარე განათება

სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა

სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი

ამბულატორიის შენობები

კულტურის ობიექტები

სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი

სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით

?წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი

სასაფლაოს შემოღობვა

თავშეყრის ადგილები, მოსაცელები

მინიჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა

დაფინანსების თანხა განაწილდება დასახლების ზომის მიხედვით - 5,000-10,000 ლარამდე

დასახლებას რომელშიც ცხოვრობს 200 ადამიანი, გამოეყოფა 5,000 ლარი ?დასახლება სრომელშიც ცხოვრობს 200-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 400 ადამიანი გამოეყოფა - 6,000 ლარი

დასახლებას რომელშიც ცხოვრობს 400-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 1000 ადამიანი გამოეყოფა - 8,000 ლარი

დასახლებას, რომლის მოსახლეობა აღემატება 1000 ადამიანს გამოეყოფა 10,000 ლარი

პროექტის შესარჩევად საჭიროა: ?სოფელში, რომელშიც არაუმეტეს 500 რეგისტრირებული ამომრჩეველია სოფლის საერთო კრების გადაწყვეტილება

სოფელში, რომელშიც 500-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 1000 ამომრჩეველია - ამომრჩევლებთან კონსულტაცია, არანაკლებ 100 ამომრჩევლის მონაწილეობით

სოფელში, რომელშიც 1000-ზე მეტი ამომრჩეველია - ამომრჩევლებლთან კონსულტაცია, არანაკლებ 200 ამომრჩევლის მონაწილეობით

შერჩეული პროექტების თანადაფინანსება შესაძლებელია სხვა ფინანსური წყაროებიდან (საერთაშორისო ან დონორი ორგანიზაციებიდან, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ან სხვა კანონით ნებადართული სხვა სახსრებით), მაგრამ თანადაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს ამ პროექტისთვის ფონდიდან გამოყოფილი თანხის 100 პროცენტს

პროექტების შერჩევა უნდა მოხდეს ყველა დასახლებაში 2019 წლის 1 მარტამდე

იმ შემთხვევაში, თუ 2019 წლის 1 აპრილამდე ვერ მოხერხდა რომელიმე დასახლების მიერ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა, ამ დასახლებისათვის გათვალი-სწინებული თანხა ბრუნდება რეგიონებში განსახორციელებელია პროექტების ფონდში (რეგფონდში) და შემდეგ ხმარდება ისევ მუნიციპალიტეტების საჭიროებებს

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მიმდინარეობის და შესრულების საერთო კოორდინაციას და მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურა გაწერილია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654-ე დადგენილებაში

# „წითელი, წითელი... რა ფერია წითელი?!“

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და ამ მოვლენებზე ქვეყნის მოსახლეობის რეაგირება ცხადყოფს, რომ მმარ-თველი პარტია „ქართული ოცნება“ წითელი ბარათის რეალური კანდიდატია.

ექსპერტობას ვერ დავიჩემებ, მაგრამ, ბოდიშის მოხდით, იმ ექსპერტებსაც ვერ დავეთანხმები, რომლებიც ორტურიან საპრეზიდენტო არჩევნებს დემოკრატიის განვითარების მაჩვენებლად მიიჩნევენ. რომ არა წინა ხელისუფლების (თავისი ძალადობრივი რეჟიმით) დაბრუნების შიში, „ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, მიუხედავად მისდამი ამ სტრიქონების ავტორის მიერ გამოხატული პატივისცემისა და მხარდაჭერისა, საქართველოს პრეზიდენტი ვერ გახდებოდა. მეტიც, მესამე ბრძოლისუნარიანი, რეიტინგული პოლიტიკური ძალის რეალურად არსებობის შემთხვევაში, „ოცნება“ ნაოცნებარი დარჩებოდა და ე. წ. მოუშორებელი ჭირი — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, საბოლოოდ დასამარდებოდა. მაგრამ ეს მესამე როგორ და რანაირად იარსებებდა, როცა ზემოთ დასახელებული ორივე მონსტრი ცდილობს, ჩანასახის ფაზაშივე მოაშთოს ჰორიზონტზე წამოკონტურებული კონკურენტები და საამისოდ მხოლოდ პოლიტიკურ მეთოდებს არ იყენებს?

ერთი სიტყვით, საპრეზიდენტო არჩევნებზე „ოცნებამ“ წელი ძლივს გაათრია, მის სასარგებლოდ ოფიციალურად დაფიქსირებული, ერთი შეხედვით, თითქოს დამაჯერებელი გამარჯვების მაუწყებელი პროცენტული მაჩვენებელი ძირითადად „ბუას მოსვლის“ შიშის სინდრომით უნდა იყოს განპირობებული.

როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკაში ამნეზია მწვავე ინფექციური დაავადებაა. ადვილად ავიწყდებათ დანაპირები, მეტიც, ცდილობენ, ხალხსაც დაავიწყონ, რასაც კრიალოსანის მარცვლებივით კაკლავდნენ თავიანთ საარჩევნო პროგრამებში, ალბათ, იმის იმედად, რაც გუშინ „აჭამეს“, ხვალ აღარ ემახსოვრებათო, მაგრამ ხალხი მიხვდა, გუშინ რომ „აჭამეს“, როგორც გუშინწინ, იმის დავიწყება არ შეიძლება, რადგან არაფერი უჭამია, დამშეულსა და „გაკუჭებულს“ ხელში „ყვითელი ბარათი“ უჭირავს. დიახ, ე. წ. „კოჰაბიტაციისთვის“, სამართლიანობის აღუდგენლობისთვის, დანაპირების შეუსრულებლობისთვის მთავარმა რეფერიმ — ხალხმა სუნწამხდარ „ოცნებას“ „ყვითელი ბარათი ლოგიკურად „დაუძრო“.

ნდობის მანდატის მოპოვება ადვილია, მოპოვებაა ძნელი, ხალხმა შეიძლება ერთხელ გაგიტაროს, მეორედაც გაგიტაროს, მაგრამ მესამედ უკვე აღარ გაპატიებს შენს უსუსურობასა და უნიათობას. მავანთა მიერ თავს მოხვეული ე. წ. „კოჰაბიტაცია“, „ნაციონალებთან“ გაუთავებელი ქიშპი და კინკლაობა (როგორც ამბობენ, გარიგებაც) ნამდვილად ვერ ჩაითვლება ქვეყნის ქვეყნის სწორ მართვად.

თუ სახელმწიფოებრიობაზე, დამოუკიდებლობასა და დემოკრატიულობაზე გაქვს პრეტენზია, როგორც მმართველს, შენი თავი, შენი ხალხი და შენი მიწა-წყალი შენვე უნდა „გეკუდვნოდეს“, შენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა უნდა გაგაჩნდეს, არც ცოლოურს, ნიდერლანდს გადახვეწილი „ნაციონალთა“ ლიდერ ლანდს უნდა უყადრებდე თავს, ყოველ შემთხვევაში, თავის მართლების რეჟიმში არ უნდა იყო და მის დაკრულზე არ უნდა ცეკვავდე; „ჩრდილოელი დათვისგან“ დატორილი, არც „ლურჯი ვეშაპის“ იმედად უნდა იდგე, არ უნდა შეცურდე თუ შეტოპო ოკეანეში, სადაც ხსენებული „ვეშაპი“ ჯერ მიგიშვებს შენს ნებაზე, მაგრამ ბოლოს მაინც უკვალოდ და უმტკივნეულოდ გშანთქავს. კაცს რომ გილიოტინით თავის მოკვეთას მოგუდვითა თუ ჩამოხრჩობით შეუცვლიან, იმას მაგონებს ეს ამბავი.

ჰოდა, ყოველივე ამის შედეგია ის, რომ არ დაგვადგა საშველი, ვერც პოლიტიკურად, ვერც ეკონომიკურად და ვერც სოციალურად წელში ვერ გავიმართეთ და მავანი გვმართავს ისე, როგორც ხოში აქვს, როგორც მოეპრიანება.

მოჩვენებითი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ქვეყანაში ერთგვარ „წესად“ დამკვიდრდა, რომ მმართველი პარტია არჩევნებიდან არჩევნებამდე საკუთარი თავის გადარჩენაზე უფრო მეტს ზრუნავს, ვიდრე ქვეყნის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობაზე, ოპოზიცია კი ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის, რბილად რომ ვთქვათ, უკადრებელს კადრულობს. ერთიცა და მეორეც ხალხის ფულით, ანუ ქვეყნის ბიუჯეტით საზრდოობს. საინტერესოა, ასეთი პარტიების შემხედვარე ქვეყანაში რამდენად გამართლებულია საპარლამენტო არჩევნების მხოლოდ პარტიული სიით ჩატარება და მაჟორიტარული სისტემის გაუქმება? ეს მუქთახორა მოდავიდარაბეები, რომელთაც საკუთარი ჯიბისა და კუჭის გარდა არაფერი ანაღვლებთ, ხალხმა რატომ უნდა არჩინოს?

ამ ნაახალწლევს ქისიმში არავის ვუზივარ, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ არჩევნებსშემდგომ განვითარებულ მოვლენებს, ცხადი გახდება, რომ „ოცნებამ“ ჭკუა ვერ ისწავლა და მას დიდი დღე არ უნდა ჰქონდეს დარჩენილი. ცხადია, კარგს არაფერს დამართებს „მურუსიძის ვირუსი“, ბესელია-კობახიძის „მტყუან-მართალიანი“ და სხვა მსგავსი ფსევდოპოლიტიკური სერიალები. დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ თუ ასე განაგრძო, გარდაუვალია მორიგი ბარათი, მნიშვნელობა აღარ აქვს ყვითელი იქნება იგი თუ წითელი, რადგან მეორე ყვითელი თავისთავად წითელს ნიშნავს და „მორჩა კინო, წაით სახლშიო“, ეტყვის ხალხი. წყალწაღებული „ქართული ოცნებისთვის“ ვერაფერი ნუგეში უნდა იყოს, რომ ასეთი წითელ-ყვითელი ბარათები „ნაციონალური მოძრაობისთვისაც“ ხშირად „დაუძრიათ“, მაგრამ ქრონიკული ფსიქიკური აშლილობით შეპყრობილი ეს სულთამხუთავები თავიდან ვერ მოუშორებიათ, რამეთუ იმ „ვერმოშორებასაც“ შნო უნდა, შნო.

მოკლედ, ეს არის, რისი თქმაც მინდოდა. შორს არ უნდა იყოს ის დრო, როდესაც პოლიტიკურ ავანსცენაზე უკანასკნელად გამოჩნდება „ქართული ოცნება“ სიმღერით: „წითელი, წითელი, რა ფერია წითელი?!“ რა თქმა უნდა, ამ ტრაგიკომედიური მელოდიის ფონზე ტყუილად იფშვნეტს ხელს „ნაციონალური მოძრაობა“, რადგან მას, როგორც პოლიტიკურ ბოროტმოქმედს, ქვეყნის მართვას აღარავინ ანდობს.

**კოკა თელია.**

# 14 იანვარი - ქართული თეატრის დღე და ოზურგეთის თეატრი



თეატრი ცოცხალი ხელოვნებაა და მისი წარსული, აწმყო, მომავალი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

ოზურგეთის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი **ვასო ჩიგოგიძე** თეატრის უახლესი წარსულის და მომავლის შესახებ გვესაუბრება:

„ —გასული წელიწადი ჩვენთვის იყო წარმატებებითა და შემოქმედებითი წვით სავსე წელი. 2018 წელს განვახორციელეთ ექვსი პრემიერა, მონაწილეობა მივიღეთ ოთხ საერთაშორისო ფესტივალში - მათ შორის, ბულგარეთში, თურქეთსა და საქართველოში. განვახორციელეთ სოციალური პროექტი გასვლითი სპექტაკლით საქველმოქმედო ასოციაცია „გურიაში“ და „ხანდაზმულთა სახლში“, საგასტროლო წარმოდგენა გავმართეთ ხულოში.

ჩვენი თეატრის შენობის რეაბილიტაციისა და ჩვენი ხიზნობის პირობებში ჩავატარეთ ნ. დუმბაძის სახელობის მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა 11 ქართული თეატრი და 2 უცხოური, გვესწრებოდა ოთხი ქვეყნის - ბულგარეთის, მოლდოვას, ლიეტუვას და ბელორუსიის დელეგაციები.

ვიზეიმეთ თეატრის 150 წლისთავი ფერადოვანი სანახაობებითა და მნიშვნელოვანი წარმომადგენლობითი დელეგაციებით. თეატრის წინ გაიხსნა თეატრის ვარსკვლავი. ეს პირველი და უპრეცედენტო ფაქტია, როცა თეატრის საერთო ვარსკვლავი გაიხსნა. ჩვენი მსახიობები დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენებითა და სხვადასხვა საპატიო წოდებებით. გამოიცა წიგნი ენციკლოპედია „ოზურგეთის თეატრი“ თეატრთმცოდნის, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის დირექტორის ლაშა ჩხარტიშვილის ავტორობით. დაიბეჭდა ფესტივალის კატალოგი ორ ენაზე, და სხვა სარეკლამო-საცნობარო პროდუქცია.

ასე რომ, გასული წელიწადი ჩვენთვის იყო ძალიან წარმატებული და მნიშვნელოვანი.

ჩვენ აღებული გვაქვს სწორება იმ განახლებულ, გრანდიოზულ შენობაზე, რომელიც ბატონი ბიძინა ივანიშვილის მეცენატობით გვექნება დაახლოებით ერთ წელიწადში. ჩვენი რეპერტუარი, შემოქმედების ხარისხი შესაბამისი უნდა იყოს. მთელი ჩვენი საქმიანობა აქამდე 150 წლის იუბილის ღირსეულად აღნიშვნისათვის მზადება იყო, რაც შევძელით კიდეც. პარალელურად, ვზრუნავთ ღირსეული შენობის შესაფერისი რეპერტუარისა და შემოქმედებითი ხარისხის შექმნაზე.

რაც შეეხება 2019 წლის შემოქმედებით გეგმებს, გამოვუშვებთ მინიმუმ 5 სპექტაკლს, რეჟისორ მამუკა ბაბილოძეს დაწყებული აქვს სამაგიდო რეპეტიციები სპექტაკლზე „პატარა უფლისწული“, რომლის პრემიერაც გაიმართება თებერვალში, პარალელურად რეჟისორი ოთარ კუტალაძე იმუშავებს ზღაპრის პრემიერაზე. მარტის თვიდან მოწვეული გვყავს ცნობილი ბულგარელი რეჟისორი, გაბროვოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ქალბატონი ნევენა მიტევა, რომელიც ბულგარული დრამატურგიის ნიმუშს განახორციელებს ჩვენს თეატრში. პრემიერა იგეგმება აპრილის ბოლოსათვის. ეს სპექტაკლი მონაწილეობას მიიღებს ორ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში: - ბულგარეთის ბულგარული დრამატურგიისა და ბულგარეთის გაბროვოს კომედიის საერთაშორისო ფესტივალებში. არსებობს თანამშრომლობის მემორანდუმი გაბროვოსა და დუმბაძის ფესტივალებს შორის. გაზაფხულზე საქართველოს თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელს ბატონ გიორგი გეგეჭკორსა და ბულგარეთის თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელს შორის გაფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ბულგარეთიდან გადავდივართ უკრაინაში, ხერსონის ცნობილ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, სადაც აღნიშნულ სპექტაკლთან ერთად წარვადგენთ ქართულ კლასიკასაც. ამ ოლქთან გურიას, ოზურგეთს ძველი მეგობრობის წლები აკავშირებს, რომლის აღდგენის ერთ-ერთი მომენტი იქნება ჩვენსა და ხერსონის აკადემიურ მუსიკალურ-დრამატულ თეატრთან მემორანდუმის გაფორმება.

გეგმები და პერსპექტივები ძალიან ბევრია და საინტერესო, მაგრამ ახლა მივუბრუნდეთ 14 იანვარსა და ქართული თეატრის დღეს, რომელსაც წლეულს სრულიად საქართველო იზეიმებს თელავში. ამ დღეს ემთხვევა ყველასათვის საყვარელი მსახიობის ვანო იანტბელიძის 65 წლის იუბილე და მისივე ვარსკვლავის გახსნა.

ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით სასიამოვნო სიურპრიზი ელოდება ოზურგეთის მერს, რომელიც მოწვეულია ამ ზეიმზე.

ძვირფასო მეგობრებო, თეატრის ერთგულო მაყურებელო, გულშემატკივარო, გილოცავთ შობა- კალანდას, ქართული თეატრის დღეს, გისურვებთ სიკეთეს, სიყვარულს, ბედნიერებას, ბარაქას და წარმატებას.

**ლია პილაძე**

# კონტურები გურული კაცის პორტრეტისთვის, ანუ ჩემი თვალით დანახული ნუგზარ ბარამიძე

**თემურ მარშანიშვილი**

მე რომ მხატვარი ვიყო და გურული კაცის პორტრეტის შექმნის მუზამ შემილიტინოს, აუცილებლად ნუგზარ ბარამიძეს დავხატავდი. ბატონი ნუგზარი ის კაცია, ვინც სწორედ გურულ განწყობაზე, ანუ იუმორის ხასიათზე დაგაყენებს; ვისი მკვირცხლი, ღი-მილიანი გამარჯობა მთელ დღეს გაგყობა საგზლად და სახლში დაბრუნებულსაც შეგინარჩუნებს ხალისს; ვინაც იცის, რომ პატარა, მაგრამ უკიდეგანოა თავისი ქვე-ყანა; ვისაც უსაზღვროდ უყვარს თავისი, ორ ზურგს შუა ხავერდოვან ხალიჩად განფენილი ქა-ლაქი, ოჯახი, მეგობრები, კოლეგები, ნაცნობები, უცნობებიც კი, რამეთუ ოდენ სიყვარულის კაცია თვითონ.



გასულ კვირაში შევხდით. ჩემმა კოლეგამ ლია კილაძემ გაგვიჩალიჩა ექსპრომტად ეს შეხვედრა. მოვემზადები და ხვალ შევხდები-მეთქი, მაგრამ ვინ გაცალა, რამდენიმე წუთში სა-საუბრო მაგიდასთან დამისვა სას-ურველი რესპოდენტი. სადღე-გრ-ძელო და დღეგრძელობა რომ უყვარს, ისეთ კაცს მხოლოდ რამდენიმე კითხვით „გაწყობილი სუ-ფრა“ დავახვედრე. მოკლედ, ლიას ბრალია, რომ ძალიან „მშრალი“ შეხვედრა გამოგვივიდა, ჰოდა, მივაღწევთ ერთ დღეს მაგის სახლამდე ყელის გასასველებლად.

მეც კაი ტიპი ვარ, კაცი 6 დეკემბერს 75 წლის გახდა და 4 იანვარს მივულოცე იუბილე.

„აგერ ახლა მდინარეზე დავდიოდი, ვჭყუმპალაობდი და ხელათ გავიდა დრო. ორმოცდამ-ეცამეტე წელია ოზურგეთის თეატრში ვარ, ბატონმა ბეჟან ნაკაიძემ და გურამ აბესაძემ მიმიღეს 1966 წლის 3 მარტს. მიმიღეს და არ გამიშვეს თუ ვერ წავედი, მას შემდეგ მართლა მშობლიურ თეატრში ვარ“. — თვალები ისე უციმციმებს, ვხვდები, რომ თეატრი მისთვის ის ტაძარია, საიდანაც ფეხს არსად მოიცვლის, ან თეატრი როგორ შეელევა.

განსაკუთრებულ როლებზე ვეკითხები. მთავარიც და ეპიზოდურიც ათეულობითო, — მორიდებით მეუბნება. მოკლე პასუხების სხვა მიზეზიც ვიცი, ეჩქარება, გარეთ თავისი განუყრელი მეგობრები ომარ ურუშაძე და თემურ კვირკველია ელოდებიან. პირველი როლი, რომელსაც აპლოდისმენტები და კარგი პრესა მოჰყვა, ნოდარ დუმბაძის სოსოია იყო:

„ეს მოხდა 1966 თუ 1967 წელს, ორსაათნახევარი ვიდექი სცენაზე ბუმბერაზ მსახიობებთან — ლამარა თურმანიძესთან, რომან ლომინაძესთან, შურა ცქიტიშვილთან, ლადო ბურჭულაძესთან, მიხეილ წიგნაძესთან, ანა ანდღულაძესთან ერთად. არ მჯეროდა, რომ ეს ყველაფერი რეალურად მოხდა. რასაკვირველია, ბედის უფრო კმაყოფილი ვიყავი, ვიდრე როლის თამაშისა. ეს იყო ჩემთვის ინსტიტუტიც და აკადემიაც“. — მოწიწებას აქსოვს ხმაში.

საკუთარი შემოქმედებიდან სამუელ ატილიოს „ცილინდრში“ მორგებული როლი გამოარჩია. ბელა კიკვაძე მიწევდა პარტნიორობას და სუსტი როგორ გამომივიდოდა?! — ნიშნისმოგებით მეუბნება.

ცდილობს წინა პლანზე პარტნიორი დააყენოს ყოველთვის. სიამოვნებით იხსენებს ვასო ჩიგოგიძის დადგმებს, ბედნიერად მიიჩნევს თავს, რომ ამ სპექტაკლებში გაბრიელ მდინარაძესთან, გივი ახმეტელთან, ომარ ურუშაძესთან, თემურ კვირკველიასთან, ზაირა თოთიბაძესთან და სხვებთან ერთად მოუხდა თამაში.

მაყურებლისა და თეატრალების მიერ მართალ მსახიობად მონათლულმა თავისი სასცენო მოღვაწეობიდან ერთი კურიოზიც გაიხსენა:

„რეჟისორი ილია მაცხონაშვილი მუშაობს გეწაძის პიესაზე. ყარამან ყანთელაძის როლში ომარ ურუშაძეა, მე კეჭოუკა ვარ. მძღოლმა, ჯუმბერ ნემსაძემ პატივი დაგვდო და თავის სოფელ მთისპირში წაგვიყვანა. ორი დღის ნაქეიფარს მოგვიწია სცენაზე გასვლა. სპექტაკლში არის ასეთი სცენა: მე და ყარამანი წამოწოლილები ვართ და ანტურაჟიდან მსახიობები გვიმღერიან „ნანა, ნანა ყარამანას, ნანა კეჭოუკას“. ნაბახუსევზე ვიყავით და ორივეს მართლა ჩაგვეძინა. მეორე დღეს მაცხონაშვილმა კედელზე გამოგვიკრა საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.“

ბატონი ნუგზარ ბარამიძე საინტერესო ნატურაა კინემატოგრაფისთვისაც. ჰქონდა მიწვევები, გადაღებები, რამდენიმე დასამახსოვრებელი სახე შექმნა კიდეც, მაგრამ თვითონ თეატრს ანიჭებს უპირატესობას:

„როგორ გითხრათ, თეატრი ცოცხალი ხელოვნებაა. კინოში კადრს გადაიღებ, არ მოგეწონება და ისევ გადაიღებ, თეატრში თუ შეგეშალა, არაფერი ეშველება“.

თეატრში ჰყავს თავისი ფავორიტები როგორც უფროს, ისე შუათანა და ახალ თაობაში:

„ნუ ჩამომათვლევინებთ ახლა, თორემ რომელიმე რომ გამომრჩეს, ხომ მომეჭრა თავი. ნიჭიერი ბებრები და უფრო ბევრი და დიდად ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს“, — თვალს ისე უსწორებს ფოტოაპარატის ობიექტივს, თითქოს „სიცრუის დეტექტორი“ იყოს, რომელიც მის მართლად თქმულს დაადასტურებს.

1968 წელს მიიღო საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება. შარშან, ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე გადაეცა შავგულიძის პრემია, დაჯილდოებულია ასევე ღირსების ორდენით. ორდენთან დაკავშირებით, მეუღლის კვიმატობაც გაიხსენა: „შემოდევი თაროზე, ფული თუ მოყობა მაგასო“.

როგორც გვითხრა, აუხდა მეუღლის სიტყვები, მეორე წელი დაიწყო და ჯერჯერობით არაფერი მოჰყოლია.

სასმელზე ვაძლევ ბოლო შეკითხვას, ესიამოვნა კითხვა:

„წითელი ღვინო არ მიყვარს, ცოლიკოურზე ვგიჟდები, არაყი ცოტ-ცოტა შეიძლება, მაგრამ მეგობრობა და მეგობრები ყველაფერს და ყველას მირჩევნია. გარეთ ახლაც მელოდებიან ომარი და თემური, მე რომ არ წავიდე, მეორე ხმა არ იქნება“.

აუ, კარგია!!! თუ ეს სამეული მაგიდასთან არ გინახავთ, ჩათვალეთ, რომ ნამდვილი მოლხენისა და სუფრის იუმორისგან ძალიან შორს ხართ.

# „უსამართლო ლომს“ საპრემიეროდ ამზადებენ



**ალიონი.** ქალაქ ოზურგეთის თოჯინების თეა-ტ-რში რეჟისორი **ოთარ კუტალაძე** საპრემიეროდ **ლალი თედორაძის** „უსამართლო ლომს“ ამზადებს. „ალიონს“ ჰქონდა შესაძლებლობა სამაგიდო რეპეტიციას დასწრებოდა.

ბატონი ოთარის თქმით, პრემიერას მაყურებელი თებერვლის შუა რიცხვებში იხილავს:

„ამ სპექტაკლით ბავშვებს შესაძლებლობა მიეცემათ, ისწავლონ სამართლიანობა, როგორ უნდა დაიჭირონ სიმართლის მხარე. ამჟამად სამაგიდო რეპეტიციებს გავდივართ. სპექტაკლში დაკავებული არიან მსახიობები: **ნინო გაგუა, გურამ კეკელიძე, გიორგი ვაშალომიძე, მარი ქილიფთარი, გიორგი გაფრინდაშვილი, თათია გაბრელიანი.**

მხატვარი და თოჯინების ოსტატი **ნინო კეჭაყმაძე** გახლავთ, სპექტაკლს მუსიკალურად დათო მეგრელაძე აფორმებს, ქორეოგრაფია კი ლია მარტიაშვილს ეკუთვნის.

პრემიერა თებერვლის შუა რიცხვებში შედგება.“

მკითხველსა და მაყურებელს ალბათ ახსოვს, რომ წინა პრემიერა „საახალწლო ზღაპარი“ 25 დეკემბერს შედგა. შემდეგ ამ გასართობი შოუ-პროგრამის საქველმოქმედო ჩვენებით თოჯინების თეატრი ასოციაცია „გურიაში“ ადგილობრივ ბენეფიციართა წინაშე წარსდგა, რისთვისაც ხსენებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ბატონი რომან ლომაძის წერილობითი მადლობა მიიღო. 4, 5 და 6 იანვარს ასევე საქველმოქმედო წარმოდგენები გამართა ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკში.

## დებიუტი

# საახალწლო სურვილი

ახალ წელს ვეგეგებით,
ბავშვებს უხარიათ,
თოვლის ბაბუას
წერილებს უგზავნიან.

ფანტელნი ფარფატით
ძირს ეცემიან,
ბავშვები სიხარულით
ცას ეწევიან.

ყველა ოჯახში
ნაძვის ხე ბრწყინავს,
რომლის ტოტებქვეშ
საჩუქრებს სძინავთ.

***

მიდის დეკემბრის ოცდათერთმეტი,
ღამის თორმეტი საათი ხდება.
ვიღაც ზეიმობს ახალ წლის მოსვლას,
ფეიერვერკი ზეცის თაღს წვდება.

შემობრძანდება ახალი წელი,
დაგვლოცავს მეკვლე, ფეხბედნიერი,
მინდა, ყველა ხალხს ჰქონდეს სიკეთე
და საქართველო იყოს ძლიერი.

**ლიზი ბაკურაძე.**

## ხსოვნა

# გური სიხარულიძე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე და მერიის თანამშრომლები მწუხარებას გამოვთქვამენ გურული სიმღერების უბადლო შემსრულებლის, ლოტბარისა და პედაგოგის **გური სიხარულიძის** გარდაცვალების გამო.

ქართული ფოლკლორის მოამაგე გური სიხარულიძემ, თაობები აღზარდა, გამოირჩეოდა იშვიათი საშემსრულებლო ტექნიკით. იყო მაგალითი იმისა ,როგორ უნდა შეინარჩუნო ეროვნული განძი - ქართული სიმღერა და გალობა!

გური სიხარულიძე 88 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი!

გური სიხარულიძის დაკრძალვა შედგა შაბათს, 12 იანვარს.

დამსახურებული მომღერალი ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის შენობიდან გამოასვენეს.

# აშშ-ში ათი წლის მანძილზე კომაში მყოფმა ქალბატონმა კლინიკაში იმშობიარა

ქალაქ ფენიქსის პოლიცია ეძებს მამაკაცს, რომელმაც კლინიკაში დააორსულა კომაში მყოფი ქალბატონი. პაციენტს ბავშვი შეეძინა, - იტყობინება ადგილობრივი პორტალი **Arizonas family.**

ინციდენტი მოხდა არიზონას შტატის დედაქალაქში, სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში **Hacienta.** ქალბატონი საავადმყოფოში მოათავსეს 10 წლის წინათ, მას შემდეგ, რაც კინაღამ „ჩაყვინთა“ — აღნიშნავს პორტალი სიტუაციაში გარკვეულ ადგილობრივ წყაროზე დაყრდნობით.

მშობიარობა შედგა 29 დეკემბერს, კომენტარი კი ამის შესახებ რამდენადმე გვიან გაკეთდა. ბავშვი დაიბადა ცოცხალი და ჯანმრთელი.

„ფენიქსის პოლიციის დეპარტამენტი იკვლევს საქმეს. ჩვენ ვთანამშრომლობთ პოლიციელებთან, რათა ჩატარდეს სრულყოფილი გამოძიება და შედგეს სამართალი“. — ციტირებს პორტალი არიზონას გუბერნატორის წარმომადგენლის ოფიციალურ განცხადებას.

წყაროებზე დაყრდნობით პორტალი იუწყება, რომ კლინიკის პერსონალმა, სქესის დადგენამდე არაფერი იცოდა პაციენტის ორსულობის შესახებ.

აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევის შემდეგ დაწესებულებაში თანამშრომელთათვის შემოიღეს ახალი წესი — მამაკაც პერსონალს პალატაში პაციენტთან შესვლა შეუძლია მხოლოდ ქალი კოლეგის თანხლებით.

„რია ნოვოსტის“ მიხედვით მოამზადა **თემურ მარშანიშვილმა.**

## სულთათანა

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ცნობილი ხელოვანის, ანსამბლ „შალვა ჩემოს“ წევრის **გური სიხარულიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს შოთა ცხომელიძეს მამიდაშვილის **გელა მგელაძის** გარდაცვალების გამო.

# სკანვორდი



| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | ამომავალი მზის ქვეყანა | „კოკა კოლას“ გამომგონებელი | უავტორო წერილი | | | | მადის დაკარგვა | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | პურის თავთავების შეკვრა | |
| | | | | | | | | | მეტყველების ორგანო | | | | | | | |
| | | | | | | | | | სამეურნეო ხელმძღვანელი | | | | უძველესი ტომი | | | |
| | | | | | | | ალბანური ფული | | | | | | | | ღრძილების ანთება | |
| | | | | | | | | | | | | | | | ქალაქი რაჭაში | |
| | | | | | | | | | | ვოკალური ფორმა | კომა | ანარქისტი „ლაზარედან“ | | | ურანის თანამგზავრი | |
| | | | | | უბანი მთისპირში | | | | | | | ნაცია | ადგილი მთასა და მთას შორის | | | |
| უძველესი მცენარე | კამათლის თამაში | მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში | | | | | ჭაობში გასასვლელი მოწყობილობა | | | | | | | | | |
| | | | | | კარგი გურულად | | | | სარგავი მასალა | | | | | ძველი კანონის გაუქმება | | |
| | | | | | სუბტროპიკული მცენარე | | | | ერთგვარი პრიზი | | | | | ქალის სახელი | | |
| | | | | | სპორტული ფორმა | დიახ | | თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი | | | | | | | | |
| | | გრამატიკული კავშირი | ციური სხეულის მოძრაობის გზა | | | | | | | | | ყოფილი უნგრელი ფეხბურთელი | | | | უარყოფა |

## № 1-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ანზორ ერქომაიშვილი; გასაცეხვი კულტურა — ღომი; პირველი პირის ნაცვალსახელი — იგი; ყურძნის სიუხვის სიმღერა — აგუნა; ჩაპლინის ბოლო მეუღლე — უნა; საკალანდოდ რომ ისროდნენ — ფიშტო; ფენა — შრე; ცხემლა — რცხილა; აპაჩების ბელადი — ვინეტუ; კედელზე შესაყრელი მარცვალი — ცერცვი; გლოვა — ზარი; კალანდის სიმბოლო — ჩიჩილაკი; მამაკაცის სახელი — იონა; ახალი წელი გურიაში — კალანდა; შეძახილი ხარის უკან დასახევად — ხი; მამაკაცის მოფერებითი სახელი — ლიოხა; ისლანდიის დედაქალაქი — რეიკიავიკი; სმენის ორგანო — ყური; ხელისაც, ზურგისაც — ჩანთა; მონღოლეთის დედაქალაქი — ულანბატორი; გობი — ვარცლი; თურქეთში გავრცელებული ქალის სახელი — აიშე; ქართული ზღაპრის გმირი ქალი — ყამარი; ავტომობილის აირით უზრუნველმყოფი — რიალგაზი; ჩურჩხელა — ჯანჯუხა; ჩქარის ანტიპოდი — ნელი; 31-ე ასობგერა — ჯ; თევზის კერძი — უხა; ფეხადი — მეკვლე; რუსული ავტომობილი — კამაზი; თითისტარი — ჯარა; ფხალის სახეობა — ჭყანა; აღმოსავლური ორთაბრძოლა — ტაეკვონდო; რუსული მოტოციკლი — იავა; მდინარე პოლონეთში — ვისლა; ერთ-ერთი მეფე ვეფხისტყაოსანში — რამაზი; გაკვირვების შეძახილი — ოი;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და ისტორიული მუზეუმის ერთობლივი პროექტის „მე ვიცი ჩემი ქალაქის ისტორია" გამარჯვებული

# მე ვიცი ჩემი ქალაქის ისტორია"



,,მე ვიცი ჩემი ქალაქის ისტორია''- ვფიქრობთ, ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, ვინაიდან ისტორიაა ჩვენი წარსულიც აწმყოც და მომავალიც, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებებს, თუმცა ის კი ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ ჩვენი ქალაქის ისტორიის შესახებ. ყოველივე ამის გამო,რომ უფრო მეტი და საინტერესო რამ გაგვეგო ჩვენი ქალაქის ადრინდელი მდგომარეობისა და ყოფის შესახებ, მივმართეთ სხვადასხვა ხერხსა და გზას; რაშიც, არსებული, ცნობილი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგებასაც ვგულისხმობთ და ჩვენ მიერ მოპოვებულისაც. უ იმ ადამიანებთან გასაუბრება კი, რომლებიც, ოზურგეთის კოლორიტებს პირებს წარმოადგენენ, ერთობ საოცარი და საინტერესოც იყო.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს თემას. ოზურგეთი, ორ ზურგს შორის მოქცეული ქალაქი და მისი შემოგარენი, რომლის ისტორიაც ათი ათასი წლის წინ, ნეოლითის ხანიდან, იწყება და დღემდე გრძელდება.,ნამდვილად საინტერესო და საოცარია... ნასახლარები, რომლებიც ანასეულსა და გურიანთაშია აღმოჩენილი, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ოზურგეთი მართლაც უძველესი დასახლებაა. აქვე ჩნდება კითხვაც, რას ნიშნავს ოზურგეთი. ამის შესახებ, უამრავი ვარაუდი არსებობს, თუმცა ყველაზე ცნობილი და პოპულარული ვერსია, მისი, როგორც ორ ზურგს(მოიდანახესა და სერის უბნებს) შორის მოქცეული მხარისა და ე.წ ,,საზურგეთის'' მნიშვნელობაა, რომელიც ამ შემთხვევაში მგრულ ვარიანტს წარმოადგენს. არსებობს ასევე სვანური ვერსიაც, რომ ოზურგეთი სვანური წარმოშობის სიტყვაა. გურიელები გურიის სამთავროს მმართველები, ვარდანისძეების შთამომავლები იყვნენ; ვარდანის, სვანთა ერისთავის აზრით კი, როგორც ოზურგეთის, ასევე ზუგდიდის ქალაქების სახელწოდების ძირის სიტყვა ,,ზუგ''- სვანური ენიდან მოდის.

რაც შეეხება დასახლებას, ზოგიერთი მოსაზრებით ოზურგეთში დასახლება მე-4 მე-5 საუკუნეში არსებობდა. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება ოზურგეში აღმოჩენილი აბანოს ნაშთებიც.. ოზურგეთში აბანოს არსებობას პირველად შვეიცარიელი მოგზაური დი ბუა დე მომპერე გვამცნობს, რომელიც გურიაში 1830 წელს იმყოფებოდა.

ცნობილია, რომ სახელი ,,ოზურგეთი'' პირველად ბერი ეგნატაშვილის-,,ქართლის ცხოვრებასა'' და ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომებშია მოხსენიებული. გურიის სამთავროს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიის შემდეგ, 1840 წელს,შეიქმნა გურიის მაზრა, რომელსაც 1846 წლიდან ეწოდა ოზურგეთის მაზრა, თუმცა საქალაქო თვითმმართველობა მას არ მინიჭებია. მაზრა იმართებოდა საპოლიციო წესით, მაზრის უფროსის მიერ, რომელსაც ხელისუფლება ნიშნავდა. 1866-82 წლებში ოზურგეთის მაზრის უფროსი იყო პორუჩიკი ოტია დადიანი, შემდგომში პოლკოვნიკი და გენერალ-მაიორი, რომელიც 1892 წლიდან სოკოლსკიმ შეცვალა. საქალაქო დებულება, რომლითაც 1870 წელს იმპერიის ზოგიერთ ქალაქს თვითმმართველობის უფლება მიენიჭა, არ შეხებია ოზურგეთს; ოზურგეთმა ეს სტატუსი მხოლოდ 1896 წელს მიიღო, როდესაც მასში ჩატარდა საქალაქო თვითმმართველობის პირველი არჩევნები. თვითმმართველობა შედგებოდა ქალაქის საბჭოსგან, სადაც შედიოდა ქალაქის თავისგან და მისი ამხანაგისგან შემდგარი 15 წევრი. ქალაქის თავი, საბჭოს მიერ აირჩეოდა და გადაყენებაც მასვე შეეძლო. გვერდს ვერ ავუვლით ასევე თედო სახოკიას აღტაცებულ სიტყვებსაც: ''რაც აქამდე დააკლდა ქალაქს უპატრონობითა და მოუვლელობით, ახლა თვითმმართველობა ცდილობს და გაორკეცებული მხნეობით ეკიდება ყოველსავე დაბრკოლებას. ბოლოს თვითმმართველობავე თაობს ოზურგეთში საექიმო თავშესაფრის დაარსებას,ექიმის მოწვევას და სხვას.სანუგეშო ის არის, რომ იმ დროს, როცა ჩვენ სამშობლოს სხვა ქალაქებსა და იმათაც კი, სადაც თვითმმართველობა არის შემოღებული, სალათას ძილითა სძინავთ, ოზურგეთი კი, ერთი პატარა და ღარიბი ქალაქი წელებზე ფეხს იდგამს აწუხებს ცას და ქვეყანას: ეს გვინდა, ეს გვესაჭიროება, ეს დაგვიარსეთო!... აქაც ყველაზე ეტად აშკარად ჩანს გურულის ნამდვილი ბუნება: ათასნაირ გზას ეძებს-გასაჭირს მოუაროს ,ოღონდ კი ფონს გავიდეს სადმე. გულს იმედი გესახებათ, როცა იმათ უყურებთ''. სახოკია ასევე იხსენებს,რომ როგორც 1896 წელს, ასევე 1900 წლის მოწვევისასაც აქტიურად ლობირებდა ქალაქის თვითმმართველობა ოზურგეთში რკინიგზის შეყვანის საქმეზეც.

ვფიქრობთ მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება ყურადღება გავამახვილოთ იმ რამდენიმე გვარის წარმომადგენელთა შესახებ, რომლებიც ერთგვარ კოლორიტებს წარმოადგენდნენ იმდროინდელ გურიაში. ერთ-ერთი პირველნი გურიელები არიან. ცნობილია, რომ ფეოდალურ ხანაში ოზურგეთი სწორედ, რომ მათ საზამთრო რეზიდენციას წარმოადგენდა. გურიელების შემდეგ ყველაზე ძლიერი და მდიდარი გვარის წარმომადგენლები იყვნენ ნაკაშიძეები, რომელთა კუთვნილებასაც წარმოადგენდა ვაშლნარი და ოზურგეთის შემადგენლობაში მყოფი სხვა სოფლები. ასევე უნდა ვახსენოთ მაქსიმენიშვილები, რომლებიც ფლობდნენ შუა გურიის მევენახეობის რაიონებს- ასკანას, ბახვს და ბაღდათს. ისინი ცნობილნი იყვნენ იმით, რომ ამ ტერიტორიებზე მოჰყავდათ მტევანდიდის ჯიშის ყურძენი და აყენებდნენ მუქი წითელი ფერის მაგარ, სურნელოვან ღვინოებს. ბოლოს კი მაჭუტაძეები, რომლებიც მე-16 საუკუნიდან მოყოლებული ცნობილი სასულიერო პირები იყვნენ; მათ ასევე ეკავათ გურიელების სახლთუხუცესის თანამდებობაც, ერთ-ერთი მათგანი კი, მაქსიმე პირველი დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქიც იყო.

ახლა კი, მოდით, შევეხოთ, დღევანდელი ოზურგეთის ყველაზე ხალხმრავალ ადგილს, ე.წ ,,ჭადრების ბაღს''. ცნობილია, რომ ,,ჭადრების ბაღში'' ძველად იდგა ხის დიდი ტაძარი, რომელიც აგებულ იქნა ვინმე სმირნოვის მიერ, რომელიც მე-19 საუკუნის 20-30-იან წლებში ჩამოსულა საქართველოში, მოუყვანია გურული ცოლი და გურიაშივე დასახლებულა.ამბობენ ,რომ მისი შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ გურიაში. ჩვენი ერთ-ერთი რესპოდენტი გვესაუბრება,რომ ეკლესია გარეგნულად ძალიან ჰგავდა ქართულ ეკლესიას, თუმცა, რადგანაც იგი მორებისგან იყო აშენებული, ეს რუსულ ხელწერას უფრო წააგავდა. ცნობილია,რომ იგი იმდენად მყარად იყო აშენებული,ვერანაირი გზით ვერ მოახერხეს მისი განადგურება გადაწვის გარდა. მიმდებარე ტერიტორიაზევე მდებარეობდა ასევე ქართული ეკლესიაც, რომელიც წმინდა მარინეს სახელობის და ისევე ხისგან ნაშენი იყო,როგორც მეორე ეკლესია. ჭადრების ბაღშივე იყო სასაფლაო, სადაც სხვა რამდენიმე გამოჩენილ პირთან ერთად დასაფლავებული იყო პირველი ქართველი მომღერალი, ფილიმონ ქორიძე, რომელმაც ლა-სკალაში იმღერა; ვარაუდობენ, რომ იქვე იყო დასაფლავებული თვით გურიელებიც. ბაღშივე იდგა გერმანელი ტყვეების მიერ აგებული შადრევანიც, რომელსაც ყაყაჩოს ფორმა ჰქონდა და ე.წ ,,დევის ქვისგან'' იყო დამზადებული. ადგილობრივები იხსენებენ, რომ იგი იმდენად ლამაზი იყო,განსაკუთრებით იმ ხავსის ფონზე, რომელიც ქვაზე ეკიდებოდა, რომ სპეციალურად მის სანახავადაც კი ჩამოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ტერიტორიულად ბაღის შემოგარენი დღევანდელი ოზურგეთის მთელ ცენტრალურ ნაწილს მოიცავდა და ცნობილი ქართველი მეცნიერის, ენათმეცნიერისა და ფილოლოგის, ნიკო მარის შოტლანდიელი მამის, პროფესიით მებაღის მიერ იყო გაშენებული. სწორედ მისი გარეხვის შემდეგ აიგო დღევანდელი თეატრიც,ის ხემცენარეები კი, რომლებიც დღემდეა შემორჩენილი პარკში, მე-19 საუკუნის გადმონაშთები არიან. აქვე გვინდა ვახსენოთ ე.წ ხუნდაძის ბაღიც, რომელიც იქიდან გამომდინარე, რომ ჭადრების ბაღი გურიელთა მმართველობის დასრულებამდე მათ შიდა ეზოს წარმოადგენდა, პირველ საჯარო, საზოგადოებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილ ბაღად იწოდებოდა და ასევე დღევანდელი 9 აპრილის პარკიც სადაც ადრე, ე.წ საპარასკევო ყოფილა. ხუნდაძის ბაღის დამაარსებელი ოზურგეთის 1900-1904 წლებში მოქმედი მერი-გრიგოლ ხუნდაძე იყო, რომლის საპატივცემულოდაც დაექვა ეს წოდება ბაღს. ბაღი ქვითკირის ღობით იყო შემოღობილი. მას სწორედ აქ ატარებდა ოზურგეთის საზოგადოება დროს,. ამბობენ, რომ აქვე იმართებოდა კონცერტებიც. შემდგომში აქვე მოუწყვიათ ციტრუსთა სანერგეც. დღეს კი სამწუხაროდ ბაღის ტერიტორიიდან არც ერთი მონაკვეთი არ არის შემორჩენილი ძველი იერსახით მის ადგილას კი ავერსის საავადმყოფო ფუნქციონირებს. რაც შეეხება 9 აპრილის ბაღს, ვარაუდობენ,რომ იგი სწორედ იმ პერიოდით თარიღდება,როდესაც გურიელები მმართველობდნენ ჩვენს ქალაქს. ეს იყო ადგილი, რომელიც კომერციულთან ერთად საზოგადოებრივ ქალაქის ცენტრსაც წარმოადგენდა. წორედ ამ ადგილას იმართებოდა დიდი ვაჭრობა პარასკევობით, ხოლო კვირაობით, როგორც ამას მწერალი ნინო ნაკაშიძე იხსენებს თავის ჩანაწერებში, მოსახლეობა ვინმე მოხუც მესტვირეს ან ბრმა მელექსეს უსმენდა დიდი სიამოვნებით. მას შემდეგ ბაღმა ბევრი ცვლილება განიცადა, 1906 წელს იგი ქუთაისის გუბერნატორის ბრძანებით გადაწვეს, თუმცა საბჭოთა მმართველობის ხანაში კვლავ აღადგინეს და ძველ ფუნქციებთან ერთად ახალიც შესძინეს; საპარასკევო კვლავ ქალაქის კომერციული ცენტრი და ყველაზე ხალხმრავალი ადგილი იყო, იმჟამად ავტოსადგურით, მუზეუმით, სამუსიკო სკოლით, პოლიციით, პროკურატურით, აფთიაქითა და სხვა მრავალი წვრილი სავაჭრო ობიექტითაც, რომელმაც სამწუხაროდ კვლავ განიცადა სახეცვლილება და მეორე გადაწვის ფაქტის შემდგომ საბოლოოდ გადაწყდა, რომ კომერციული ცენტრის ნაცვლად საპარასკევოს შუაგულში გრძელი ბულვარი მოწყობილიყო. საბჭოთა წყობის ბოლო წლებში აქვე ეწყობოდა სეირნობები, მუსიკალური ღონისძიებები და სხვაც. დღეს კი ბაღს 9 აპრილის საპატივცემულოდ ეწოდა ეს სახელი.

ახლა კი გადავიდეთ განათლებაზე, ბუნებრივია, როგორც თედო სახოკიას ჩანაწერებში ვკითხულობთ, ოზურგეთის შესახებ,დაახლოებით მე-19 საუკუნის ბოლოს ოზურგეთში 4 სკოლა ფუნქციონირებდა. პირველი სკოლა ოზურგეთსა და ზოგადად გურიაში მე-17 საუკუნეში გაჩნდა და იგი იტალიიდან ჩამოსულ კათოლიკე მისიონერთაგან ერთ-ერთმა, კერძოდ ანტონიო ჯარდინმა დაარსა, რომელმაც ქართულიც იცოდა და ქართული გრამატიკის წიგნიც ჰქონდა შედგენილი. სკოლა მთავრის სასახლის ბაღში იდგა და 1634-37 წლებში მოქმედებდა, ანტონიო ჯარდინის გარდაცვალებამდე მას შემდეგ, 1830 წლიდან, უამრავი მცდელობა იყო სასულიერო სკოლის გახსნასთან დაკავშირებით, თუმცა ყოველთვის, რაღაც ხელისშემშლელი ფაქტორი აყოვნებდა მას; საბოლოოდ,1846 წელს, ეპისკოპოს ექვთიმეს განკარგულებით, ის გაიხსნა ჯუმათის მონასტერთან, რომლის ხელმძღვანელიც თბილისის სემინარიის კურსდამთავრებული-ივანე ბეშქენაძე იყო. თუმცა შემგომში მისი შენახვა შეუძლებელი შეიქნა და 1848 წელს იგი ოზურგეთში გადაიტანეს, ზედამხედველად კი ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ძმა, სიმონი დანიშნეს. 1876 წელს მას ეწოდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, 1917-1922 წლებში კი ოზურგეთის გიმნაზია, შემდგომ 1 შვიდწლიან სკოლად გადაკეთდა დღეისათვის კი იქ პირველი საჯარო სკოლა სკოლა ფუნქციონირებს. ეს სწორედ ის სკოლაა,სადაც სწავლობდა უამრავი ცნობილი და გამოჩენილი ადამიანი, მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილი,ნოე ჟორდანია,ეგნატე ნინოშვილი და სხვები. მეორე სკოლა,რომელიც მე-19 საუკუნეში ფუნქციონირებდა ოზურგეთში 1850 წელს გაიხსნა, მას ასევე სამაზრო სასწავლებლად მოიხსენიებდნენ. იგი ნელნელა ვითარდებოდა და მოსწავლეების რაოდენობაც ეტაპობრივად იზრდებოდა მასში. სკოლას თავისი შენობა გაჩნდა, 1917-28 წლებში კი იგი დიმიტრი გურიელის სასახლეში ფუნქციონირებდა,სწორედ მას შემდეგ გაიყო იგი ორ ნაწილად, ერთი მათგანი პირველ საშუალო სკოლას შეუერთდა, მეორე კი თავად გიორგი ნაკაშიძის სახლში გადავიდა. სასწავლებელს 1938 წლიდან ეწოდა მეორე საშუალო სკოლა, 1945-54 წლებში კი ქალთა სკოლა იყო. რაც შეეხება მესამე სკოლას, 1879 წელს, ოზურგეთში გაიხსნა ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელიც შემდგომში ორკლასიანი გახდა,მისი დამფინანსებელი იყო ეპისკოპოსი ალექსანდრე; გამოჩენილ მოსწავლეთა შორის კი გამოარჩევენ ნინო ნაკაშიძეს; ხოლო ბოლო, მეოთხე სკოლა კი, 1900 წელს ზვანში გაიხსნა, რომლისთვისაც შენობა ვერ მოიძებნა და კერძო სახლებში განთავსდა,თუმცა მოგვიანებით, ზვანის ე.. წ ჩაის ფაბრიკის გვერდით ააშენეს ერთსართულიანი შენობა, სადაც ორ ოჯახში არსებული სასწავლებლები გააერთიანეს. როგორც,1895 წელს წერდნენ, მთელს საქართველოში წერა-კითხვის ცოდნაში პირველი ადგილი ოზურგეთის მაზრას ეჭირა.. მიუხედავად ძველ დროში არსებული ნაკლებად ხელსაყრელი პირობებისა ოზურგეთში განათლების მიღება მოსახლეობისთვის მაინც შესაძლებელი იყო. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ასევე ოზურგეთის სტამბაც, რომელზედაც მარჯორი უორდროპი ამბობს:'' ქალაქი პატარაა, ძლივს აღემატება დიდ სოფელს, მისი მკვიდრნი დიდ ინტერესს იჩენენ ლიტერატურისადმი, აქვთ თავიანთი სტამბა და მრავალ საყურადღებო წიგნს აქვეყნებენ''. 1889 წელს ოზურგეთში სტამბის გახსნის ნებართვა ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის შუამდგომლობით გასცა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა. 1891 წელს კი დაარსდა პირველი ლეგალური სტამბა. მისი დამაარსებლები იყვნენ კოწია თავართქილაძე და ალფეეს მიქელაშვილი დიომიდე კილაძესთან ამხანაგობით. თავდაპირველად მასში მხოლოდ ბლანკები და ქორწილ-ტირილში მიპატიჟების წერილები იბეჭდებოდა, თუმცა შემგომში, დაარსების წელსავე გამოიცა ,,ვეფხისტყაოსანი'',თანაც ორჯერ. ეს ,,ვეფხისტყაოსნის'' რიგით მეთერთმეტე გამოცემა იყო.

ჩვენი თემის დასასრულს, საჭიროდ ჩავთვალეთ, მცირედ მაინც გაგვესვა ხაზი იმ მეურნეობის დარგზე, რომელიც წამყვან როლს თამაშობდა, ასევე იმ ღირსშესანიშნაობებსა და კულტურულ ძეგლებზეც, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდათ და დღემდე გააჩნიათ ჩვენი მშობლიური ქალაქისთვის. მცირედ მოგიყვებით ასევე ჩვენი ქალაქის ურთიერთობაზეც უკრაინასთან და ლიტვასთან.

გურიაში და მათ შორის რა თქმა უნდა ოზურგეთშიც მე-19 საუკუნიდან საკმაოდ იყო გავრცელებული მეჩაიეობა. ჩაისადმი ინტერესი უფრო და უფრო იზრდებოდა და ბოლოს იმდენად პოპულარული გახდა, რომ ქალებისთვის მზითევში სამოვრის გატანებაც კი დაიწყეს. აქ ჩაის წარმოების ერთ-ერთ პიონერებად ერმილე და მიხეილ ნაკაშიძეები ითვლებოდნენ. ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებში, ჯამში 34 სოფელში იყო ჩაის მცირე პლანტაცია, თუმცა პრობლემას წარმოადგენდა ადგილზე ფაბრიკის არარსებობა. ერმილე ნაკაშიძის ხელმძღვანელობით გურიაში გაიხსნა პირველი ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა, რომელიც მოსახლეობიდან ჩაის ფოთოლს იბარებდა და ტექნოლოგიურად ამუშავებდა. აშენდა ზვანში, 1914 წელს, თამბაქოს საცდელი მეურნეობის ადგილზე. მეოცე საუკუნის დასასრულამდე, ჩაის მეურნეობა არ შეწყვეტილა, კვლავ გრძელდებოდა პლანტაციებში მუშაობა და ფაბრიკებიც მანამ ფუნქციონირებდა, სანამ მოსახლეობამ ჩაი თხილით არ ჩაანაცვლა. ჩაის ცნობილი მწარმოებელი იყო სოლომონ ჭეიშვილი, რომლის ჩაიც რუსეთის ქალაქებში გაჰქონდათ.

რაც შეეხება ღირსშესანიშნაობებსა და იმ შენობებს, ვეცდებით მათგან მნიშვნელოვანი გამოვყოთ და ინფორმაცია მოგაწოდოთ იმათ შესახებაც, რომლებიც დღეს აღარ ფუნქციონირებენ. როგორც საუბრისას გვითხრა ერთ-ერთმა, რესპოდენტმა გურიელების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე იდგა რუსული ჯარის, ე.წ ,,დრუჟინას'' სამსართულიანი შენობა,რომლის დანგრევის შემდეგ იქ აშენდა პირველი თეატრი, რომელიც შემდეგ კულტურის სახლმა დაიკავა და ასევე რესტორანი იზაბელა, რომელიც სილამაზით გამოირჩეოდა, თუმცა იმის გამო, რომ ერთსართულიანი რესტორანი ქალაქის ცენტრში არ უნდა მდგარიყო 1979 წელს იგი დაანგრიეს. მათ ადგილზე კი, საბოლოოდ ბრეჟნევის თხოვნით ქალაქში დაიდგა მეთვრამეტე არმიის მუზეუმი. ვარაუდობენ, რომ 1940-იან წლებამდე, ოზურგეთშივე იდგა კათოლიკური, ფრანგთა ეკლესიაც მის ირგვლივ არსებული სასაფლაოთი და ბაღით. აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ასევე ნატანები-ოზურგეთის რკინიგზაც, რომლის მშენებლობაში დიდი წვლილი მიუძღვის ფილიპე მახარაძეს. იგი 1923 წლის დეკემბრისათვის გაიხსნა, რასაც დიდი ზარზეიმით აღნიშნავდნენ, რადგან იმდროისთვის ეს მოვლენა სანატრელ ოცნებად იყო მიჩნეული. შემდგომში, 1928-1932 წლებში აშენდა ასევე რკინიგზის სადგურის შენობაც, რომელიც სახეშეცვლილი ფორმით მოვიდა დღემდე. 1914 წელს აუშენებია გერმანე გოგიტიძეს ასევე დღეს უკვე არამოქმედი კინოთეატრი ,,ილუზიონი'' ,რომელიც 250-კაციან დარბაზს და მოძრავი სცენას ფლობდა და რომელმაც 1918 წლამდე იარსება. ცნობილი იყო ასევე სასტუმრო ,,გურიის'' შენობაც, რომელიც ორსართულიანი, აგურით ნაგები შენობა იყო და 1935 წლით თარიღდებოდა. იხსენებენ ასევე ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ საადგილმამულო ბანკსაც, რომლის ადგილზეც დღეს ლიბერთი ბანკის შენობა დგას. ყურადღებას ვამახვილებთ ასვე ასკანის ციხეზეც,რომელიც კიდევ ერთი დასტურია ჩვენი მხარის სიძველისა,ვინაიდან მისი ყველაზე ადრეული ფენა მე-5-მე-6 საუკუნით თარიღდება. ვარაუდობენ,რომ ასკანაშივე იყო უძველესი რკინის სადნობებიც. ვფიქრობთ არ შეიძლებოდა აქვე არ გვეხსენებინა ლიხაურის ტაძარი,სადაც თამარისდროინდელი წმინდა იაკობის ხატი ინახებოდა,შემოქმედის მონასტერი,რომელიც სპეციალურად ზარზმის მონასტრიდან გადმოტანილი ხატის დასაბრძანებლად აუშენებიათ და ჯუმათის მონასტერიც, რომელიც ეპისკოპოსთა რეზიდენციას წარმოადგენდა და დღემდე განსაკუთრებულად მიიჩნება თავისი მდებარეობის გამო, ცნობილია, რომ აქვე ინახებოდა მიქაელ მთავარანგელოზის მინანქრის მედალიონებით შემკული ოქროს ხატები, რომელთაგან ორი მედალიონი დღეს ნიუ-იორკის ერთერთ მუზეუმში ინახება და 9 მილიარდ დოლარაა შეფასებული. თითეული მათგანი მე-14 მე-16 საუკუნეებით თარიღდება და თავიანთი არსებობით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დღემდე ქალაქის ისტორიაში.

ორიოდ სიტყვით გენიჩესკელი და მახარეძელი მშრომელების მეგობრობასა და ოზურგეთის თეატრის ლიტვის თეატრთან ურთიერთობაზე მოგითხრობთ. უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობაზეც, რომელსაც მდიდარი ტრადიციები გააჩნია და გენიჩესკელი და მახარაძელი მშრომელების მეგობრობიდან იწყება. ამის დასტურად ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავზე მახარაძელმა მშრომელებმა უკრაინელი მეგობრებისაგან საჩუქრად ბრინჯაოს მეგობრობის ძეგლი მიიღეს, რომელიც დაიდგა ქალაქ მახარაძის ცენტრში და პურის დიდ ძნას წარმოადგენდა.

რაც შეეხება ოზურგეთის და ლიტველი თეატრალების ურთიერთობას, რომელსაც ამჟამინდელმა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ ჩაუყარა საფუძველი, მდიდარი წარსულის მქონეა და მას შემდეგ იწყება რაც ბატონმა ვასილმა პანევეჟისის ცნობილ თეატრში დადგა სპექტაკლი- ,,გამარჯობა ხალხო'',ნოდარ დუმბაძის ,,მე,ბებია,ილიკო და ილარიონის'' მიხედვით; ანალოგიური სპექტაკლი დადგა მან ოზურგეთშიც და საბოლოოდ ორივე ვერსია ფესტივალზე გააერთიანა. იგი გვიყვება, რომ ქართველ და ლიტველ მსახიობებს შორის საოცარი დამოკიდებულება იყო და რომ მუშაობის პერიოში ისინი ერთმანეთს თავიანთი ქვეყნების კულტურასაც აცნობდნენ.

ერთი სიტყვით, თქვენც შეამჩნევდით და ჩვენც ასე გვეჩვენება, რომ ნამუშევარი ვრცელია, თუმცა ამ თემაზე მუშაობამ იმდენად დაგვაინტერესა და იმდენი მასალა დაგვაგროვებინა, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ ,,გავიმეტეთ'' ამოსაღებად. განსჯა თქვენთვის მოგვინდია!

**ლიკა სირაძე, მარიამ მექვაბიშვილი, დათა თორია**
ოზურგეთის წმ. ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის მე-10 კლასელები.

# გილოცავთ შობასა და კალანდას! გისურვებთ ყველა იმედის გამართლებას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას!!!



**პაატა კილურაძე**
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, სოფ. ბაილეთი



**გელა ჭანუყვაძე**
საკრებულოს საინფორმაციო ანალიტიკური განყოფილების უფროსი



**ლადო ჩავლეშვილი**
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, სოფ. მთისპირი



**თორნიკე გოგუაძე**
საკრებულოს დეპუტატი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“



**ვალოდია ბერიძე**
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი დაბა ნარუჯა



**გელა სალუქვაძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი სოფ. ძიმითში



ოზურგეთის თოჯინების თეატრი საყვარელი სურვილებით გილოცავთ შობასა და კალანდას! წარმატებები და სიხარული ნუ მოგკლებოდეთ 2019-ში

## დარბაზი „თამარიონი“ გილოცავთ შობა-კალანდას!!!



მის: გურამიშვილის ქ. №25



შპს „კარიგო“ გილოცავთ შობა-კალანდას!!!
მის: ქ. ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის №2.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 14 იანვარი ორშაბათი | 15 იანვარი სამშაბათი | 9 იანვარი ოთხშაბათი | 10 იანვარი ხუთშაბათი | 11 იანვარი პარასკევი | 12 იანვარი შაბათი | 13 იანვარი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +3+9 | ღრუბელი- +4+10 | მცირე წვიმა 0+6 | თოვლი, -4+2 | მზე, ღრუბელი +3+4 | ღრუბელი- +6+9 | მზე, ღრუბელი +4+8 |